უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 23.06.2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სოფიო ხუნდაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფინანსები
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური)
3	კვალიფიკაციის დონე[2]	დონე 7
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
7	სწავლების ენა	ინგლისური ენა
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
9	განხორციელების ადგილი[5]	ზანდუკელის #16, თბილისი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #559045, 30.05.2022
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.05.2022
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	30.05.2023
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2024

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

[2]ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

2.2 რეკომენდირებულია დაზუსტდეს შემდეგ სასწავლო კურსებზე, კომპონენტზე დაშვების წინაპირობები: „Capstone პროექტი“, „ეთიკა ფინანსურ სექტორში“, „საინვესტიციო პორტფელის მართვა“.

2.2 ინვესტიციების მართვის მიმართულებით პროგრამით დადგენილი შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სტატუსით.

2.3 რეკომენდირებულია, გადაიხედოს რიგ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდების გადახედვა, შემდგომში კურსის/ების სწავლის შედეგებთან მეტად შესაბამისობაში მოსაყვანად.

2.3 გადასახედია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები, რათა განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით მოხდეს უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოები და ამოცანები, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.

2.4 რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის (ან სილაბუსის პირობების შესრულების ვალდებულების) მითითება.

5.3 რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამისა და სილაბუსების შეფასების ეტაპზე გაიცეს რეკომენდაციები ზედმეტად სტანდარტიზებულ შეფასების მიდგომებსა და მეთოდებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს სასწავლო კურსების შედეგებზე მეტად მორგება და სტუდენტის უნარების შეფასების მიზნით უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება.

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 30 მაისის #559045 გადაწყვეტილებით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა გარკვეული რეკომენდაციები (6 რეკომენდაცია) და რჩევები (7 რჩევა). რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განესაზღრა 1 წელი, 2023 წლის 30 მაისამდე. დაწესებულებამ რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიში წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2023 წლის 8 მაისს.

რეკომენდაციებისა და რჩევების განხილვისა და გათვალისწინების მიზნით დაწესებულების მიერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი 11 წევრის შემადგენლობით (ISET-ის დირექტორი, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ISET-ის აკადემიურ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი, ISET-ის აკადემიურ საქმეთა მართვის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ISET-ის კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსი, ISET-ის აკადემიურ საქმეთა მართვის დეპარტამენტის აკადემიური პროგრამების კოორდინატორი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, ISET-ის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული). რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების მიმართულებით ჯგუფის მუშაობა დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმით.

რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშითა და დანართებით (დამატებითი მასალებით/მტკიცებულებებით) დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული ექვსივე რეკომენდაციის შესრულება. რეკოემდაციის შესრულების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. წინამდებარე დასკვნის შესაბამისი სტანდარტის/კომპონენტის შეფასების ნაწილში.

---

[7] *საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.*

რჩევ(ებ)ი[8]

2.1 სასურველია პროგრამაში უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვის დამატებით მიეთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ წესის არსებობის საკითხი.

2.3 რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში სასწავლო კურსის შინაარსისა და დადგენილი შედეგების სათანადოდ მიღწევის უზრუნველსაყოფად უფრო ლოგიკურად იყოს განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა.

2.3 სასურველია დამხმარე ლიტერატურა დაკონკრეტებული და შეთავაზებული იყოს სტუდენტებისთვის სილაბუსში. მათ შორის შესაძლებელია რეკომენდირებული იყოს ისეთი დამატებითი საკითხავი ლიტერატურა, რაც არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

3.1 სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.

3.1 სასურველია უსდ-მ მეტი ძალისხმევა მიმართოს კულტურულ შემეცნებითი აქტივობების მხარდაჭერასა და განვითარებაზე.

3.1 სასურველია უსდ-მ დამატებით, არაფორმალურ შეთანხმებებს დამსაქმებლებთან მისცეს ოფიციალური სახე.

3.2 სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობას.

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 30 მაისის #559045 გადაწყვეტილებით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა გარკვეული რეკომენდაციები (6 რეკომენდაცია) და რჩევები (7 რჩევა). რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განესაზღრა 1 წელი, 2023 წლის 30 მაისამდე. დაწესებულებამ რეკომენდაციის შესრულების შესახებ ანგარიში წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2023 წლის 8 მაისს.

რეკომენდაციებისა და რჩევების განხილვისა და გათვალისწინების მიზნით დაწესებულების მიერ შექმნა სამუშაო ჯგუფი 11 წევრის შემადგენლობით (ISET-ის დირექტორი, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ISET-ის აკადემიურ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი, ISET-ის აკადემიურ საქმეთა მართვის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ISET-ის კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსი, ISET-ის აკადემიურ საქმეთა მართვის დეპარტამენტის აკადემიური პროგრამების კოორდინატორი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ფინანსების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, ISET-ის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული. რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების მიმართულებით ჯგუფის მუშაობა დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმით.

რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშითა და დანართებით (დამატებითი მასალებით/მტკიცებულებებით) დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული შვიდი რჩევიდან ექვსი მათგანის შესრულების მიმართლებით მუშაობა. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. წინამდებარე დასკვნის შესაბამისი სტანდარტის/კომპონენტის შეფასების ნაწილში.

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაცია[10]

-

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[13]	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია[14]	-
შეფასება	-
რჩევა[15]I	სასურველია პროგრამაში უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვის დამატებით მიეთითოს საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ წესის არსებობის საკითხი.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშისა და დამატებითი მასალების/მტკიცებულებების (საგანმანათლებლო პროგრამა) მიხედვით დასტურდება დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული რჩევის გათვალისინება, კერძოდ, წარმოდგენილი საგანმანთლებლო პროგრამა დაშვების წინაპირობების ნაწილში მიუთითებს უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვის საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ წესის

[10] *საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში*

[11] *საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით*

[12] *სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით*

[13] *კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით*

[14] *საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)*

[15] *საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)*

	არსებობის საკითხს და განმარტავს აღნიშნული აპლიკანტებისთვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და მოთხოვნებს. ახალი ჩანაწერის მიხედვით იკითხება უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისთვის საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პირთა ჩარიცხვის შესახებ განსხვავებული წესის არსებობის საკითხი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. პროგრამაში გაჩნდა მითითება, რომ გარდა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის საჭიროა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (#224/ნ, 29.12.2011) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება.
მტკიცებულებ(ები)ა	ფინანსების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I	რეკომენდირებულია დაზუსტდეს შემდეგ სასწავლო კურსებზე, კომპონენტზე დაშვების წინაპირობები: „Capstone პროექტი“, „ეთიკა ფინანსურ სექტორში“, „საინვესტიციო პორტფელის მართვა“.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშისა და დამატებითი მასალების/მტკიცებულებების (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის სასწავლო გეგმა, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები) მიხედვით დასტურდება დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულება, კერძოდ, დაკორექტირდა სასწავლო კურსებზე

	დაშვების წინაპირობები რეკომენდაციით დასახელებული სასწავლო კურსების შემთხვევაში. წინაპირობების განსაზღვრა, კორექტირება განხორციელდა დასკვნის აღწერით ნაწილში რეკომენდირებული ცვლილებების შესაბამისად: სასწავლო კურსის „Capstone პროექტი“ შემთხვევაში მოხდა დამატებითი წინაპირობების დადგენა, სასწავლო კურსს „ეთიკა ფინანსურ სექტორში“ მოეხსნა მასზე დაშვების ზედმეტი ბარიერი, სასწავლო კურსის „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ შემთხვევაში კი მოხდა როგორც დამატებითი ბარიერების მოხსნა, ისე მისი ათვისებისთვის უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ლოგიკური წინაპირობების დამატება. სასწავლო კურსებზე ცვლილების შედეგად განსაზღრული დაშვების წინაპირობები ლოგიკური და მისაღებია. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასა და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.
რეკომენდაცია II	ინვესტიციების მართვის მიმართულებით პროგრამით დადგენილი შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს სავალდებულო სტატუსით.
შეფასება	რეკომენდაციის შესაბამისად სასწავლო კურსს „საინვესტიციო პორტფელის მართვა“ შეეცვალა სტატუსი და იგი არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალიდან გადავიდა სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასა და შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. აღნიშნული დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშითა და დამატებითი მასალებით (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, შესაბამისი სასწავლო

	კურსის სილაბუსი).
რჩევა	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	ფინანსების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა, პროგრამის სასწავლო გეგმა შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III	რეკომენდირებულია, გადაიხედოს რიგ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდების გადახედვა, შემდგომში კურსის/ების სწავლის შედეგებთან მეტად შესაბამისობაში მოსაყვანად.
შეფასება	რეკომენდაციის შესაბამისად სასწავლო კურსების „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“, „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“, „ფინანსური და მმართელობითი აღრიცხვა“, „სასესხო ინსტრუმენტების შეფასება“, „რისკების მართვა“ ფარგლებში მოდიფიცირდა შეფასების მეთოდები, უფრო კონკრეტულად, დასახელებული სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფარგლებში დახურული ტიპის კითხვებთან ერთად მოხდა ამოცანებისა და შემთხვევის ანალიზის გათვალისწინება. განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს და გააუმჯობესებს სასწავლო კურსებით დადგენილი ისეთი სწავლის შედეგების უკეთ შეფასებას, რომლებიც უკავშირდება სტუდენტთა პრაქტიკულ უნარებს, ანალიზის უნარს და ა.შ. რასაც ემსახურებოდა კიდეც გაცემული რეკომენდაცია. განხორციელებული ცვლილებები ლოგიკური და მისაღებია, გათვალისწინებულია

	სასწავლო კურსის სპეციფიკა და სასწავლო კურსით მისაღწევი სწავლის შედეგები. ცვლილებების განხორციელება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშითა და დამატებითი მასალებით (შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები).
რეკომენდაცია IV	გადასახედია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები, რათა განსაკუთრებით პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით მოხდეს უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება, მაგალითად, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოები და ამოცანები, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.
შეფასება	რეკომენდაციასთან დაკავშირებული მოსაზრების გათვალისწინება უკავშირდება მე-4 რეკომენდაციით გამოთქმულ მოსაზრებას, შესაბამისად, მისი შესრულების ეტაპზე მოხდა ზემოაღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებაც, კერძოდ, რეკომენდაციის შესაბამისად სასწავლო კურსების „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“, „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“, „ფინანსური და მმართელობითი აღრიცხვა“, „სასესხო ინსტრუმენტების შეფასება“, „რისკების მართვა“ ფარგლებში მოდიფიცირდა შეფასების მეთოდები, უფრო კონკრეტულად, დასახელებული სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფარგლებში დახურული ტიპის კითხვებთან ერთად მოხდა ამოცანებისა და შემთხვევის ანალიზის გათვალისწინება. განხორცილებული ცვლილებები ხელს შეუწყობს და გააუმჯობესებს სასწავლო კურსებით დადგენილი ისეთი სწავლის შედეგების უკეთ შეფასებას, რომლებიც უკავშირდება სტუდენტთა პრაქტიკულ უნარებს, ანალიზის უნარს და ა.შ. რასაც ემსახურებოდა კიდეც გაცემული

	რეკომენდაცია. განხორციელებული ცვლილებები ლოგიკური და მისაღებია, გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა და სასწავლო კურსით მისაღწევი სწავლის შედეგები. ცვლილებების განხორციელება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშითა და დამატებითი მასალებით (შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები).
რჩევა II	რეკომენდირებულია რიგ შემთხვევებში სასწავლო კურსის შინაარსისა და დადგენილი შედეგების სათანადოდ მიღწევის უზრუნველსაყოფად უფრო ლოგიკურად იყოს განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების მოცულობა.
შეფასება	რჩევის შესაბამისად, სასწავლო კურსებში „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“, „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“ „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 3“,„ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა“, „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 1“, „ფინანსური ანგარიშგება და ანალიზი 2“, „კორპორატიული ფინანსები 1“, „კორპორატიული ფინანსები 2“ და „ბიზნესის შეფასება“ შეიცვალა საკონტაქტო საათების განაწილება და იგი განისაზღვრა სასწავლო კურსის შინაარსის, სპეციფიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად. უფრო კონკრეტულად, დასახელებულ სასწავლო კურსებში გაიზარდა პრაქტიკული მუშაობის საათების მოცულობა, სასწავლო კურსებით დადგენილი პრაქტიკული უნარების უკეთ გამომუშავების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასა და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში. სასწავლო კურსების ფარგლებში ცვლილების შედეგად განსაზღრული საათების განაწილება ლოგიკური და

	მისაღებია. საათების განახლებული განაწილება უკეთ უზრუნველყოფს დასახელებული სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას. ცვლილებების განხორციელება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშითა და დამატებითი მასალებით (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები).
რჩევა III	სასურველია დამხმარე ლიტერატურა დაკონკრეტებული და შეთავაზებული იყოს სტუდენტებისთვის სილაბუსში. მათ შორის შესაძლებელია რეკომენდირებული იყოს ისეთი დამატებითი საკითხავი ლიტერატურა, რაც არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ბიბლიოთეკაში.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშითა და დამატებითი მასალებით (სილაბუსების განახლებული ვერსიები) არ იკითხება ზემოაღნიშნულ რჩევასთან დაკავშირებით დაწესებულების რეაგირება, თუმცა რჩევის განმავითარებელი ხასიათიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებების დაწესებულების მიერ განხორციელება განიხილებოდა პროგრამის მხოლოდ დამატებით დახვეწის საშუალებად და მისი შესრულების საკითხი არ ახდენს გავლენას პროგრამის ფარგლებში მისაღწევ რაიმე მნიშვნელოვან შედეგზე.
მტკიცებულებ(ები)ა	ფინანსების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა, პროგრამის სასწავლო გეგმა შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,

	პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია V	რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის (ან სილაბუსის პირობების შესრულების ვალდებულების) მითითება.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშისა და დამატებითი მასალების/მტკიცებულებების (პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები) მიხედვით დასტურდება დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულება, კერძოდ, განახლდა ანდა ცვლილება შევიდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში, რომლითაც დარეგულირდა შესაბამის პრაქტიკის ობიექტზე გარკვეული რაოდენობით სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმებით. წარმოდგენილია პრაქტიკის ობიექტთან განახლებული 6 ასეთი მემორანდუმი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თიბისი კაპიტალი, პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (PMCG), ეისითი (ACT), საკონსულტაციო კომპანია PMO, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი. თითოეული მათგანი განსაზღვრავს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 სტუდენტის მიღებას ყოველწლიურად.
რჩევა	-

შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული განახლებული მემორანდუმები

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
რეკომენდაცია	-
შეფასება	-
რჩევა IV	სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.
შეფასება	რჩევასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა ის საკომუნიკაციო საშუალებები, რომლითაც ხდება სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, მაგალითად როგორიცაა კონფერენციები, შეხვედრები, ღია ლექციები, გაცვლითი პროგრამები, სტაჟირებების შესაძლებლობები და სხვა. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშში უთითებს ISET-ის ოფიცილური ვებ-გვერდისა და ISET-ის ოფიციალური facebook გვერდის ბმულებს, რომლითაც დასტურდება სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი არაერთი აქტივობისა და ღონისძიების გაზიარება.
რჩევა V	სასურველია უსდ-მ მეტი ძალისხმევა მიმართოს კულტურულ შემეცნებითი აქტივობების

	მხარდაჭერასა და განვითარებაზე.
შეფასება	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდეგნილ ანგარიშში მითითებულია ISET-ის ოფიცილური ვებ-გვერდისა და ISET-ის ოფიციალური facebook გვერდის ბმულები, რომლითაც დასტურდება რჩევასთან დაკავშირებული გარკვეული კულტურულ შემეცნებითი აქტივობების დაწესებულების მიერ განხორციელება. დაწესებულება ანგარიშით გამოთქვამს მზადყოფნას მომავალშიც განაგრძოს რჩევის შესრულების მიმართულებით მუშაობა პროგრამის განხორციელების პროცესში.
რჩევა VI	სასურველია უსდ-მ დამატებით, არაფორმალურ შეთანხმებებს დამსაქმებლებთან მისცეს ოფიციალური სახე.
შეფასება	რჩევასთან დაკავშირებული მოსაზრების გათვალისწინება გარკვეულწილად უკავშირდება მე-5 რეკომენდაციით გამოთქმულ მოსაზრებას, შესაბამისად, მისი შესრულების ეტაპზე მოხდა ზემოაღნიშნული რჩევის გათვალისწინებაც, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი ანგარიშისა და დამატებითი მასალების/მტკიცებულებების (პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები) მიხედვით დასტურდება დაწესებულების მიერ ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულება, კერძოდ, დაწესებულების მიერ განახლდა ანდა ცვლილება შევიდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში, რომლითაც დარეგულირდა შესაბამის პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების გარკვეული რაოდენობით სტუდენტების მიერ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმებით. წარმოდგენილია

	პრაქტიკის ობიექტთან განახლებული 6 ასეთი მემორანდუმი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თიბისი კაპიტალი, პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (PMCG), ეისითი (ACT), საკონსულტაციო კომპანია PMO, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი. თითოეული მათგანი განსაზღვრავს მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 10 სტუდენტის მიღებას ყოველწლიურად.
მტკიცებულებ(ები)ა	დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების ანგარიშში მითითებული ISET-ის ოფიცილური ვებ-გვერდისა და ISET-ის ოფიციალური facebook გვერდის ბმულები: https://iset.tsu.ge/index.php/who-we-are/news-and-events; https://www.facebook.com/ISET.ISET/?fref=ts. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული განახლებული მემორანდუმები

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია	-
შეფასება	-
რჩევა VII	სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებისთვის ტექსტის დაკაბადონების წესების, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმების გაცნობას.
შეფასება	რჩევის გათვალისწინების ეტაპზე დაწესებულების მიერ მოხდა შესაბამის დოკუმენტში მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციებისა და მოვალეობების მოდიფიცირება, უფრო კონკრეტულად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების აღწერის ნაწილში, აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალს ჩაემატა დამატებითი

	პუნქტი, რომლის თანახმადაც, მაგისტრანტის ხელმძღვანელი მოვალეა სტუდენტს გააცნოს ტექსტის დაკაბადონების წესები, სქოლიოებისა და წყაროების აკადემიური ორგანიზების ნორმები და ა.შ დაწესებულების მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილება დასტურდება დოკუმენტიდან წარმოდგენილი ამონაწერით.
მტკიცებულებ(ები)ა	დოკუმენტიდან ამონაწერი მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ.

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VI	რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამისა და სილაბუსების შეფასების ეტაპზე გაიცეს რეკომენდაციები ზედმეტად სტანდარტიზებულ შეფასების მიდგომებსა და მეთოდებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს სასწავლო კურსების შედეგებზე მეტად მორგება და სტუდენტის უნარების შეფასების მიზნით უფრო სათანადო მეთოდების გამოყენება.
შეფასება	რეკომენდაციის გაცემის საფუძველი აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში ზედმეტად სტანდარტიზებული შეფასების მიდგომები და მეთოდები იყო, რომლის გასწორებაც მოხდა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ეტაპზე. როგორც უკვე აღინიშნა, სასწავლო კურსების „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 1“, „რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის 2“, „ფინანსური და მმართელობითი აღრიცხვა“, „სასესხო

	ინსტრუმენტების შეფასება“, „რისკების მართვა“ ფარგლებში მოდიფიცირდა შეფასების მეთოდები, უფრო კონკრეტულად, დასახელებული სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფარგლებში დახურული ტიპის კითხვებთან ერთად მოხდა ამოცანებისა და შემთხვევის ანალიზის გათვალისწინება. დასტურდება აღნიშნული ცვლილებების განხილვისა და დამუშავების ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმებით: რეკომენდაციების შესრულებაზე მომუშვე სამუშო ჯგუფის სხდომის ოქმი და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი.
რჩევა	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსების განახლებული სილაბუსები რეკომენდაციების შესრულებაზე მომუშვე სამუშო ჯგუფის სხდომის ოქმი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი.

თანდართული დოკუმენტაცია[16]

1. ფინანსების სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა, პროგრამის სასწავლო გეგმა
2. შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული განახლებული მემორანდუმები
4. დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების ანგარიშში მითითებული ISET-ის ოფიცილური ვებ-გვერდისა და ISET-ის ოფიციალური facebook გვერდის ბმულები: https://iset.tsu.ge/index.php/who-we-are/news-and-events; https://www.facebook.com/ISET.ISET/?fref=ts.
5. დოკუმენტიდან ამონაწერი მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ
6. რეკომენდაციების შესრულებაზე მომუშვე სამუშო ჯგუფის სხდომის ოქმი
7. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

ექსპერტის ხელმოწერა



[16] *თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა*